



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბილ ბუქ-
უბი სიფყაა, ცყდილებით და ჭბრებით ბუბ-
თის გაცანა ყულა უკადრისბზაჟ უსაბაგლსია.

გაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 6 მარტი. 2019 წ. №46 (8712)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

„აპერსი“ და „ჯეოკოსპიტალსი“ სკანდალში ეხვევიან!



**ჯანდაცვის
სამინისტრომ
კლინიკები
რამდენიმე
მილიონი
ლარით
დააჯარიმა**

3


„ბლექ სი არენა“ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაეცა

მშენებელმა დიდი საკონცერტო დარბაზი საქართველოში „ბლექ სი არენა ჯორჯიას“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი მართვის უფლებით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაეცა. შესაბამისი განკარგულება მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა.

დარბაზის მშენებლობა 2008 წელს ფონდ „ქართუს“ ინიციატივით დაიწყო და მასში დაახლოებით 115 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. მშენებლობის დასრულების შემდეგ, 2016 წლის 10 ივლისს არენა უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს.



ზაზა ფირალიშვილი: ლიდერი აყალიბებს ამოცანას და ქვეშევდგომებმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა მიიღონ!




5

ამერიკულ გამოკითხვაში საქართველო უკველესი ცივილი- ზაციების საბუღო მოხვდა

ამერიკულმა ვებგვერდმა The Top Tens-მა ჩაატარა გამოკითხვა, რომლის თანახმად მომხმარებლებს უნდა აერჩიათ უძველესი ცივილიზაციების საუკეთესო ათეული. გამოკითხვით შეფასებით, საქართველომ რეიტინგში მესამე ადგილი დაიკავა.

პირველი და მეორე ადგილები წილად სვდათ საბერძნეთსა და ეგვიპტეს. მომდევნო პოზიციებს იკავებენ რომი, ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, ასევე აცტეკების იმპერია და სპარტა. ბოლო ადგილებზე მოხვდნენ კელტები, შუა საუკუნეების ინგლისი და ეთიოპია. რეიტინგი იმ კრიტერიუმების მიხედვით შედგა, რომლებიც დამახასიათებელია უძველესი ცივილიზაციებისთვის. ვებგვერდის მომხმარებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ თავიანთი მოსაზრება კომენტარების სახით გამოეთქვათ ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ, ასევე განემარტათ, თუ რატომ ეკუთვნოდა ესა თუ ის ქვეყანა უძველეს ცივილიზაციას.

საქართველოს შესახებ კომენტარებში მომხმარებლები აღფრთოვანებას გამოთქვამენ ქვეყნის მდიდარი ბუნების, სტუმართმოყვარეობის, ქართული მრავალბმინი სიმღერისა და ცეკვების შესახებ. საქართველოს ვაზის სამშობლოს უწოდებენ და იხსენებენ ლეგენდებს ოქროს სანძისისა და პრომეთეს შესახებ. სწორედ საქართველოშია აღმოჩენილი უძველესი ჰომინიდები, ქართული ენა კი მსოფლიოში უძველეს ენათა ათეულში შედის. The Top Tens-ის შარშანდელ რეიტინგში დავით აღმაშენებელი ყველა დროის საუკეთესო სამხედრო გენერლების ათეულის ლიდერი იყო, რომელმაც ალექსანდრე მაკედონელიც კი უკან ჩამოიტოვა.



სლო: კუტინეა ვერ მოახერხა მსოფლიო წესრიგის თავდაყირა დაყენება!



8

აპაღემიქოსი რამაზ ხეცურიანი: მეცნიერების გაღარჩენისათვის პირველ რიგში მისი ფუნდამენტის გამაგრებაა საჭირო



4

მისი სიგურები ბაღაბივით ტაბილი და ალანის ველივით მუშენიერია!



9

ირაკლი ლარიბაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა!

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ლარიბაშვილი „ქართულ ოცნებაში“ დაბრუნდა. ის პოლიტიკური მდივნის პოზიციაზე გაივლიდა შეცვლის.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ირაკლი ლარიბაშვილი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ და პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ საქმიანობაში.

2012 წლის 15 თებერვლიდან, იგი იყო პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელი წევრი და პარტიის სარევიზო კომისიის ხელმძღვანელი.

2012 წლის 1 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ირაკლი ლარიბაშვილი გახდა პარლამენტის წევრი, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პროპორციული სით.

2012 წლის 25 ოქტომბერს ირაკლი ლარიბაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა. მინისტრის თანამდებობაზე ლარიბაშვილის მუშაობის პერიოდში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ამნისტიის შესახებ, რითაც ქვეყანაში ფართომასშტაბიანი ამნისტია გამოცხადდა. ამ გადაწყვეტილების შედეგად, საპატიმრო დაწესებულებები დატოვა 16 ათასამდე მსჯავრდებულმა, გათავისუფლდა 200-მდე მოქალაქე, რომლებიც პოლიტიკური ნიშნით იყვნენ დევნილი და დაპატიმრებული.

ირაკლი ლარიბაშვილის მინისტრობის პერიოდში განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დე-



პოლიტიკა და რესტრუქტურაცია. ამ რეფორმის ფარგლებში (2012 წლის ნოემბერი), სამინისტროს სამსახურების – კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) ნაცვლად, ჩამოყალიბდა ანტიკორუფციული და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოები, შეიქმნა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი პოლიციის შესახებ.

31 წლის შინაგან საქმეთა მინისტრი, ირაკლი ლარიბაშვილი, საქართველოს მომავალ პრემიერ-მინისტრად 2013 წლის 2 ნოემბერს დასახელდა. მან ამ თანამდებობაზე ბიძინა ივანიშვილი შეცვალა.

2013 წლის 17 ნოემბერს, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციის მომენტიდან, ამოქმედდა საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წელს განხორციელებული ცვლილებები, რომლითაც თვისებრივად შეიცვალა და გაიზარდა პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებები.

2013 წლის 18 ნოემბერს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ლარიბაშვილმა საქართველოს პარლამენტს წარუდგინა მთავრობის ახალი პროგრამა, რომელიც ეფუძნება კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ გაცხადებულ ღირებულებებსა და საარჩევნო პროგრამას.



სალომე ზურაბიშვილი ლიეტუვის რესპუბლიკას 7 მარტს ეწვევა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი 7-8 მარტს, ოფიციალური ვიზიტით, ლიეტუვის რესპუბლიკას ეწვევა. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტი ლიეტუვის პრეზიდენტს დალია გრიბაუსკაიტეს შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილება ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები. პრეზიდენტის რანგში სალომე ზურაბიშვილი ლიეტუვის რესპუბლიკას პირველად ეწვევა. საქართველოსა და ლიეტუვის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1994 წლის 16 სექტემბერს.

საქართველოს პრეზიდენტი სომხეთშიც ჩაიხს

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სომხეთს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით მარტში ეწვევა. წლის დასაწყისიდან საქართველოს პრეზიდენტი ოფიციალური ვიზიტებით იმყოფებოდა ბელგიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში და აზერბაიჯანში.

პროკურორი არჩილ ტყეშელაშვილი: მამუკა ხაზარაძემ წარმოადგინა ნაჩილი, რომლის შეფასება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია!

პროკურორის თქმით, თიბისი ბანკის დამფუძნებელმა საქალაქო სასამართლოში გამოკითხვის დროს იმ შუამავლის ვინაობა არ დაასახელა, ვინც მისი თქმით, წერილი გადასცა. დაიბარებენ თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრს გამოკითხვაზე იმ ბრალდებულთან დაკავშირებით, რაც მისი მისამართით ხაზარაძემ გააუფლერა, პროკურორმა კომენტარი არ გააკეთა.



— აღნიშნულ ფურცელზე არანაირი მაიდენტფიცირებული ნიშანი არ იყო. ამასთან, როგორც მამუკა ხაზარაძემ განმარტა, ეს წერილი მას მიაწავდა შუამავალი. როდესაც ჩვენ ვეკითხებით შუამავლის დასახელებას, მას განიხილა ვალდებულება, რომ დაასახელოს შუამავლის ვინაობა, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით, ის შუამავალს არ ასახელებს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ეტაპზე არ ქალაქდეს, სადაც არის აკრეფილი კომპიუტერზე ტექსტი, არანაირი მაიდენტფიცირებული საშუალება არ გააჩნია და შუამავალთან დაკავშირებითაც გაგვცით პასუხი. შინაარსობრივი მხარე, ეს წერილი ჯერ ჩვენ არ გადმოგვცემია. სასამართლოს აქვს ამ ეტაპზე სხვა შემთხვევაში ჩვენ ყველა საგამომიებო და საპროცესო მოქმედებას ჩავატარებთ, რომ ამ წერილის წარმოშობა დადგინდეს, — განაცხადა პროკურორმა.

მამუკა ხაზარაძის ლონდონის ექსპერტიზის იმედი აქვს...

წერილის ასლი გადაეცემა პროკურატურას, ორიგინალი გაგზავნილია ლონდონში, ექსპერტიზაზე — ამის

ჯაბა ფუტყარაძე: აჭარის მთავრობა აქტიურად მუშაობს!

ბუდაპეშტში ბიზნეს ფორუმი „უნგრეთი-საქართველო“ ჩატარდა. უცხოელი პარტნიორები საქართველოში ბიზნესის დაწყების რეგულაციებს, აჭარის რეგიონის საინვესტიციო პოტენციალს და საპრივატიზაციო ობიექტებს გაეცნენ. საინვესტიციო ფორუმი აჭარის ფინანსთა და ეკონომი-



კის მინისტრმა ჯაბა ფუტყარაძემ გახსნა. „აჭარის მთავრობა აქტიურად მუშაობს ინვესტიციების მიზნად მთავრობის დაინტერესების მიმართულებით. ჩვენ ინვესტიციის შეხვედრებს ვმართავთ პოტენციურ ინვესტორებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ძალიან ნაყოფიერი ორმხრივი შეხვედრები

შედეგ უნგრეთში. ჩვენი პარტნიორები აჭარით ძალიან დაინტერესებულნი არიან. განვიხილეთ სამომავლო თანამშრომლობის საკითხები და უკვე არის დაინტერესება ადგილობრივი ინვესტორებისგან. ისინი აჭარის რეგიონს ეწვევიან და მათ ჩვენ უკვე ადგილზე გავაცნობთ რეგიონის საინვესტიციო გარემოს“, — გა-

ნაცხადა ჯაბა ფუტყარაძემ. ფორუმის მონაწილეები აჭარის რეგიონის ინვლესტიციურ ნოვან საინვესტიციო ვიდეო რგოლს გაეცნენ. ფორუმს უნგრეთის ელჩი ვიქტორია პორვატი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ზაალ გოცსაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ტიტე აროშიძე და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე არჩილ ვანაძე ესწრებოდნენ.

სახელმწიფო მეცნიერთა შორის, ვინც ორიოდე თვის წინათ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს, სამაგისტრო მედიცინის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს, მრავალი წლის მანძილზე ამ უმაღლესი სასწავლებლის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის უცვლელ ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რამაზ ხეცურიას ერთობ გამოირჩეული ადგილი უკავია. პირველ ყოვლისა, ამის თქმის უფლებას ის გარემოება გვაძლევს, რომ 1973 წლიდან მოყოლებული, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მთელი მისი სამეცნიერო და შემდგომ პედაგოგიური მოღვაწეობა, მშობლიური სასწავლებლის ნორმალური ანატომიის კათედრასთანაა დაკავშირებული. იყო ჯერ კათედრის ასპირანტი, ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი და შემდეგ კი უნივერსიტეტის რექტორი. ასეთი თავდადება და ერთგულება კი, არც თუ ხშირია ჩვენს უსწრაფესი ცვალებადობებისადმი ესოდენ მიდრეკილ დროში.



ბატონი რამაზი გარკვეულწილად სინანულის გრძობით აღნიშნავს, რომ დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო მუშაობა თითქმის შეუძლებელია, არ არის გამოყოფილი საკმარისი დაფინანსება, არ გვაქვს თანამედროვე ტექნიკით და ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები. სამწუხაროდ, კატასტროფულად შემცირდა ახალგაზრდა სპეციალისტთა ლტოლვა მეცნიერებისაკენ. მაშინ, როდესაც დღევანდელ მსოფლიოში შეიქმნა მეცნიერებების სრულიად ახალი მიმართულებები: სინთეტიკური ბიოლოგია, ბიონიკა, ნუტრიგენომიკა და ნუტრიგენეტიკა, მედიკინა, სინოციტოლოგია კი (ეს უკანასკნელი უჯრედების ენას სწავლობს). ჩვენს ქვეყანაში კი აუცილებლად საჭიროა კარდინალური, გადამწყვეტი ზომების მიღება. თუ მეცნიერების გადარჩენა გვინდა, ჯერ მისი საძირკვლის – ფუნდამენტურ მეცნიერებათა გამაგრებაზე უნდა ვიფიქროთ, ასევე პარალელურად საჭიროა პირობრიტულად განვითარდეს მეცნიერების ის გამოყენებითი დარგები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის თუ მრეწველობის ნახტომისებრი, დაჩქარებული განვითარებისთვის არის საჭირო.

— როცა დღის წესრიგში დადგა ნანონატომიის განვითარების საკითხი, მეცნიერულად და, ცხადია, ეკონომიკურად მძლავრ ქვეყნებში გაჩნდა უახლესი ტექ-

დღესდღეობით უნივერსიტეტის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტი მისი ყველაზე დიდი სასწავლო-სამედიცინო სტრუქტურაა, რომელსაც ბატონი რამაზი ხელმძღვანელობს — აქ 32 თანამშრომელი მუშაობს, მთელი პედაგოგიური პერსონალი უმაღლესი კატეგორიის მეცნიერებითა და ლექტორებითა და კომპლექტებული. მათ შორის ხუთი მედიცინის მეც-

საქართველოში

რამაზ ხეცურიანი:

მეცნიერების

გადარჩენისათვის პირველ რიგში მისი ფუნდამენტის გამაგრებაა საჭირო

ნიერებათა დოქტორია, ათი — აკადემიური დოქტორი, დანარჩენები სტაჟიანი სპეციალისტები არიან.

ვიდრე სწავლულ მედიკოსთან საუბრის შინაარსის გადმოცემაზე გადავიდოდეთ, მცირედი რემარკის სახით მინდა აკადემიკოს რამაზ ხეცურიას ორტომული სახელმძღვანელოს „ადამიანის ანატომია“ შეხვედრის მცირედი ამონარიდი შემოგთავაზოთ, თუმცა თავდაპირველად მისი ანოტაციის ერთი ფრაგმენტით დავინწყებ: „პროფესორ რამაზ ხეცურიასის „ადამიანის ანატომია“ განკუთვნილია არა მარტო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, არამედ ის შეიძლება ექიმთა ფართო მასშტაბის სამაგიდო წიგნად ჩაითვალოს“. ფაქტობრივად, ის აღწერილობითი ნორმალური ანატომია კი არ არის, არამედ ფუნქციური ანატომიის სახელმძღვანელოა. მასში განსხვავებული ასპექტით არის წარმოდგენილი ადამიანის სხვადასხვა სისტემები, მათ შორის, იმუნური სისტემა პირველად ცალკე სისტემის სახით არის შეტანილი. ტვინის სწავლებისას განსხვავებული რაკურსით (თანამედროვე კვლევების შესაბამისად) არის წარმოდგენილი ლიმბური სისტემა, რომელიც საფუძველია ჩვენი ყველა შეგნებული თუ ინსტინქტური ქმედებისა.

თავად სახელმძღვანელოს შესავალშივე ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „ანატომია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ორგანიზმის ფორმას, აღნაგობას, ორგანოებისა და სისტემების სტრუქტურას, მათი ფუნქციის, ასაკის და გარემო პირობების ზემოქმედების გავლენას ინტენსივობით. ის საფუძველია საერთოდ მედიცინის მეცნიერებისა და ფუნდამენტია, რომელზეც აშენებულია ამ მეცნიერების დღევანდელი დღე“.

— XX საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული, ნანოტექნოლოგიების უსწრაფესმა განვითარებამ, ზოგადად მეცნიერებაში, განსაკუთრებით კი მედიცინაში დანერგვითა ნოვაციებმა, დარგის არნახული წინსვლა გამოიწვია, რის შედეგად ჩვენი უწინდელი, ოდესღაც ურყევად წარმოსახული ცოდნისა და წარმოდგენების ერთი ნაწილი ძირეულად შეიცვალა, — თქვა ბატონმა რამაზმა საუბრის დასაწყისში, რითაც პირველი მთავარი შეკითხვის დასმის ჩვეული უხერხულობისგან გამათავისუფლა. — ამან კი, ბუნებრივია, უამრავი საკითხისადმი მიდგომები სრულიად სხვა სიბრტყეში გადაიყვანა. უცხო თვლით შემხედვარე კაცმა შეიძლება იფიქროს: განა რა არის ადამიანის ორგანიზმში ისეთი, რომ მეცნიერებმა აქამდე ბოლომდე ვერ შეისწავლესო?! არადა, ასეთი, მერწმუნეთ, ძალიან ბევრი რამაა.


აქ თავს უფლებას მივცემ და მოკლე ხნით შევწყვეტ აკადემიკოს რამაზ ხეცურიასის გულახდილ თხრობას, მას ერთგვარად ოჯახურ ინტერიერში წარმოვაჩინო და წარმატებული მოღვაწეობისა და საქვეყნო აღიარება-დაფასების ზოგიერთ საკვანძო დეტალს გაგაცნობთ.

დაიბადა იურისტის ოჯახში, დედა ექიმი ჰყავდა. ოჯახში სწავლა-განათლება დიდად ფასობდა და და-

ნამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამის წყალობაა, რომ ამჟამად ორივე ძმა ხეცურიანი — რამაზი და მამის კვალს გაყოლილი ჯონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები არიან. ბატონ რამაზს ჰყავს მეუღლე — ქალბატონი ნაირა ჭაბაშვილი, ისიც ექიმია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსსუ-ს სრული პროფესორი. ვაჟიშვილი ლევან ხეცურიანი იურისტი, მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ქალიშვილი თინათინ ხეცურიანი ექიმი გახლავთ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. იგი პარიზში ცხოვრობს და უნივერსიტეტ „პარი-5“-ის საუნივერსიტეტო კლინიკაში მოღვაწეობს.


მომავალმა სწავლულმა მედიკოსმა ქუთაისში 31-ე საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის წარჩინებით დაამთავრა და 1973 წლიდან დღემდე, ამჟამად უკვე სამედიცინო უნივერსიტეტის ანატომიის კათედრაზე მუშაობს. 1992-2005 წლებში რამაზ ხეცურიანი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი არჩეული რექტორი, ღია არჩევნებში, რომელშიც მან ამ თანამდებობის პრეტენდენტ ორ საკმაოდ ცნობილ კანდიდატს 60-პროცენტითი მაჩვენებლით პირველსავე ტურში მოუგო, თსსუ-ს ყველა თანამშრომელი და სტუდენტი მონაწილეობდა. 2006 წლიდან არის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 2002 წელს გახდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი სპეციალობით „ანატომია“. არის 300-მდე სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის, ბოლო ათ წელიწადში დაწერილი აქვს 51 ნაშრომი), ექვსი მონოგრაფიის, ათი სახელმძღვანელოსა და ერთი პატენტის ავტორი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ოთხი საკანდიდატო და ხუთი სადოქტორო დისერტაცია, ბოლო ათი წლის განმავლობაში კი მორფოლოგიური სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეც გახლავთ.

ნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები, რომლებიც კაცობრიობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებზე მუშაობენ, — განაგრძობს საუბარს ბატონი რამაზი. — ამის საილუსტრაციოდ, ვფიქრობ, ერთი კონკრეტული მაგალითის მოყვანა იკმარება. ფიზიკოსისა და ბიოქიმიკოსის კონსტანტინე აგლაძის ხელმძღვანელობით (რომლის სამეცნიერო კვლევების ამბავი ფართო საზოგადოებისთვის თითქმის უცნობია), იაპონიის ქალაქ ოსაკას უნივერსიტეტ-



ში მეცნიერთა ჯგუფმა, რომელიც გულის ხელოვნური კუნთის შექმნაზე მუშაობდა, სამეცნიერო მუშაობის შედეგები გამოაქვეყნა. ოსაკას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მაშინვე საჯაროდ განაცხადა: ეს ჩვენ გამოგონებად არ ჩათვალოთ, ვინაიდან ეს სამუშაო პროფესორ კონსტანტინე აგლაძის ხელმძღვანელობით გაკეთდა. როგორც კი ეს ამბავი მსოფლიოში გახმაურდა, მას, ბუნებრივია, დიდი რეზონანსი მოჰყვა და ბატონ კონსტანტინე აგლაძეს, უმაღლეს მოსკოვის ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა იდეალური სამუშაო პირობები შეუქმნეს და ახლაც ის „რუს მეცნიერად“ იწოდება. ასეა მრავალი ჩვენი თანამემამულე, რომლებიც წარმატებით მუშაობენ მსოფლიოს სხვადასხვა კვლევით ცენტრებში.

მეტიც: 1998 წელს თსსუ ადმინისტრაციის დიდი მუშაობის შედეგად იაპონელებს ჩვენი რესპუბლიკური საავადმყოფოს მთლიანად რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის გეგმა ჰქონდათ შემუშავებული, რომელ-



Discover Galaktion

Galaktion Tabidze

a selection of his poems in a new parallel translation

Translated from Georgian by Innes Merabishvili

გალაკტიონის 2017 წელს
ლონდონში გამოცემული
კრებული

რობამაც, სადაც შარშან საქართველო იყო სტუმარი ქვეყანა და საერთაშორისო მკითხველმა გაცილებით მეტი შეიტყო ქართული ლიტერატურის მდიდარი ტრადიციებისა და დღეს მოქმედ მწერლებზეც.

ორ საინტერესო ფაქტზე მინდა მოგიყვებ, რომელსაც საფუძველი გალაკტიონის ინგლისურმა და გერმანულმა თარგმანებმა დაუდო, ევროპასა და ამერიკაში ამ დღეებში კიდევ ერთხელ წარმოჩნდა გამოჩენილი ქართველი პოეტის სახელი. გაზეთ „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგში“ (22 თებერვალი, 2019) დაიბეჭდა გერმანული ესეისტიკისა და კრიტიკოსის მარლენ შტოელის (Marleen Stoessel) სტატია, რომელიც გალაკტიონის „მთანმინდის მთვარეს“ ეძღვნება. თუმცა, ავტორი აქ გალაკტიონის ერთი ლექსის გარდა, გერმანულ მკითხველს არაერთ საგულისხმო ამბავს უყვება თვით პოეტის ცხოვრებისა და მის სამშობლოზე. უწოდებს მას კავკასიელ ორფეოსს, სიმბოლიზმის ბარდს, აბსოლუტური სმენით

სებით მდიდარი, აუღერებელი პალიტრა“. აქვე აღნიშნავს, რომ ხაიმ ნახმან ბიალიკი, ისრაელის ეროვნული პოეტი, თარგმანს „ცხვირსახოცი კოცნას“ უწოდებს, ეკლერების თარგმანს კი შეგვიძლია ნამდვილი კოცნა ვუწოდოთ და მაღლობა მოვახსენოთ ამ „ცხვირსახოცისთვისო“.


ცნობისათვის აღვნიშნავ, რომ მარლენ შტოელი 2015 წელს იმყოფებოდა საქართველოში და მისი თითქმის ყველა კუთხე მოიარა, გაეცნო ჩვენს მუზეუმებსა და გალერეებს. მან გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, გაზეთებში: „Frankfurter Allgemeine Zeitung“-სა და „Tages Spiegel“-ში ვრცელი სტატიები უძღვნა საქართველოს, ასევე „Radio Funk“-ში მოამზადა გადაცემა, სადაც ისაუბრა თბილისისა და ბათუმში მიღებულ შთაბეჭდილებებზე, მხატვრების: ნათელა იანჭოშვილისა და თამარ კვესიტაძის შემოქმედებაზე. შტოელს განსაკუთრებული ინტერესი გაუჩნდა ქართული პოეზიის, კერძოდ კი ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონისა და ბესიკ ხარა-

ლი „ცხოვრება ჩემი“ გალაკტიონის ამ სახელწოდების ლექსის გავლენით შეურჩია და თავის პრესრელიზსაც იგი წაუძღვრა. მისი თარგმანი იხედავება ბიშვილს ეკუთვნის და შესულია ლონდონში გამოცემულ გალაკტიონის ორივე კრებულში „Galaktion Tabidze Poems“ (2011) და „Discover Galaktion“ (გამომცემლობა Critical7 Cultural and Communication Press, 2017).

ნიჭიერი ფიგურატულმა მხატვარმა როდოლფო ვილაპლანამ თბილისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (MoMa Tbilisi) 2015 წლის ნოემბერში გამართა თავისი პერსონალური გამოფენა სახელწოდებით „დუშაპში მკვდარი“, რომელიც ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა და დამთავლებების დიდი მოწონება სცდა წილად.

მას შემდეგ როდოლფო ვილაპლანამ ლონდონში, რომსა და ნიუ-იორკში გამართა გამოფენები. მალე კი მაიამში გაცნობიან მის მორიგ ექსპოზიციას, რომელსაც ერთობ ამბიციური განაცხადი აქვს, თუ პრესრელიზში გამოტანილი გალაკტიონის ლექსის პირველი და ბოლო სტრიქონების: „ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია“... და „მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“, მიხედვით ვიმსჯელებთ. შემთხვევით როდი მოსწონს და ალექსებს თანამედროვე მხატვარს გალაკტიონის ეს სტრიქონები, ისიც უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის პროფესიას და ცდილობს, მის სამსახურში ბოლომდე დაიხარჯოს, ისე რომ პირნათელი დარჩეს როგორც წარსულის, ისე მომავლის წინაშე. მაიამის ამ გამოფენაზე მხატვრის სურათებთან ერთად ქართველი პოეტის სახელიც გაიხიანება და ვინ იცის, კიდევ რამდენ თავყანისმცემელს გაიჩნის იგი?

როგორ გავაცნობთ მსოფლიოს სათანადოდ ჩვენს ბრწყინვალე პოეტებს, თუ არ გვექნება მათივე ღირსი თარგმანები? იხედავება მერაბიშვილისა და ელკერების შემთხვევა, ამ მხრივ მართლაც განსაკუთრებულია და კულტურათა დიალოგშიც უკვე ცხადად ვიმკითხავთ მის კეთილ ნაყოფს. კიდევ რამხელა შრომა მართებს ამ მხრივ დიდი ლიტერატურის პატრონ საქართველოს?!



მხატვარი როდოლფო ვილაპლანა

ამ სფეროში მთავარი გადასალახი სამანები კიდევ წინ არის და ამ გზას უნდა ვუერთგულდებოდეთ, თუკი ჩვენი კულტურის ბედი ქვეყნარსად გვაუღებებს და გვაინტერესებს.

გიორგი ლალიაშვილი, ლონდონიდან

„ქეზობრივ პოეტს ბაიბებს ხალხი“



მთარგმნელი ინესა მერაბიშვილი

დაჯილდოებულ პოეტს. იგი განიხილავს „მთანმინდის მთვარის“ გალაკტიონისეულ კითხვას, რომლის მოძიება შესაძლებელია You Tube-ში და განაგრძობს — „ამ დეკლამაციის აღწერა მხოლოდ მუსიკალური ცნებებით არის შესაძლებელი: პირველი სტრიქონების პიანო, რომელიც აცოცხლებს მთანმინდის სურათს, თანდათან გადადის კრემ-ჩენდოში, შემდეგ ისევ ნელდება და მინწყდება ბოლო სტრიქონების სუნთქვის შემკვერელ პიანისიმოში.“


დროსა და სივრცის თვალსაზრისით კი ეს არის ექო ბოდლერის ლექსისა: Correspondences (მიმინერა)“. მარლენ შტოელი აქვე აღწერს მთანმინდას, როგორც საკრალურ ადგილს, დიდი ქართველი პოეტებისა და მოღვაწეების განსასვენებელ სავანეს. ასხენებს ტიციან ტაბიძეს და „ცისფერყანწელთა“ პოეტურ ორდენს. განსაკუთრებით გამოყოფს ელკე ერბის „მთანმინდის მთვარის“ გერმანულ თარგმანს და მიიჩნევს რომ „მან შექმნა თავისუფალი, ასონან-



ესეისტი მარლენ შტოსელი

ნაულის შემოქმედების მიმართ. ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე გაეცნო მათ თარგმანების მეშვეობით და მის ახალ აღმოჩენად და დაკვირვების საგნად გადაიქცინა. მალე ალბათ მისი სხვა პუბლიკაციებიც გამოჩნდება გერმანულ მედიაში.

მეორე ფაქტი კი ვენესუელურ-ესპანური წარმოშობის, ლონდონსა და ანტიბეს შორის მცხოვრები მხატვრის როდოლფო ვილაპლანას ამერიკულ გამოფენას ეხება, რომელიც მაიამის ერთ-ერთ გალერეაში 16-26 მარტს გაიმართება. მან თავის ახალ ექსპოზიციას სახე-



მხატვარი როდოლფო ვილაპლანა

ტურის პატრონ საქართველოს?!

ამ სფეროში მთავარი გადასალახი სამანები კიდევ წინ არის და ამ გზას უნდა ვუერთგულდებოდეთ, თუკი ჩვენი კულტურის ბედი ქვეყნარსად გვაუღებებს და გვაინტერესებს.

გიორგი ლალიაშვილი, ლონდონიდან

„საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში“



ანონსი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 2019 წლის 6 მარტს, 15:00 საათზე შედგება მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნის „საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში“ პრეზენტაცია.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომი სიახლეა იმ მხრივ, რომ პირველად ხდება ჩვენს საეკლესიო ისტორიოგრაფი-

აში განზოგადებული გამოკვლევა თემისა. მეუფე ანანიას ნაშრომი ეფუძნება ქართულ და უცხოურ წყაროებს, ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურას, საინტერესო მასალას, ჩრდილოეთ კავკასიაში შემორჩენილ ფაქტებს ქართული კულტურისა და სხვა.

მისამართი: რუსთაველის გამზ. 52; მე-3 სართულის სხდომათა დარბაზი.

რაზვი ჩიხნი თაგაშია!



საპარტიველო ისკვ მათორკმება

საპარტიველოს ეროვნულმა ნაკრებმა რაზვი ჩიხნი თაგაშია...

ყველაზე დიდი აურზაური სიტუაციებში გამართულმა შეხვედრამ...

უკვალოდ არ ჩაუვლია რუმინელთა მარცხს (18:21) ესპანეთში...

ბულმა ესპანეთმა. კლასიფიკაციაში მორიგ ცვლილებებს მომავალ უქმეებზე უნდა ველოდოთ...

რაზვი ჩიხნი თაგაშია 9 მარტი: რუმინეთი - რუსეთი; 10 მარტი: ესპანეთი - ბელგია; 10 მარტი: საქართველო - გერმანია.

6 მარტი: შოტლანდია - უელსი; 9 მარტი: ინგლისი - იტალია; 10 მარტი: ირლანდია - საფრანგეთი.

რაზვი ჩიხნი თაგაშია 8 მარტი: აშშ - კანადა; 9 მარტი: ჩილე - არგენტინა B; 9 მარტი: ურუგვაი - ბრაზილია.

კომა კოზანიძე

თაგაშია

ტატამის ბოკსები

Cadet European Judo Cup Antalya



თურქულ ანტალიაში ევროპის თასი გათამაშდა კადეტ ძიუდოსტთა შორის...

ბუკაშვილმა, ელგუჯა ჭინჭარაშვილმა (ორივე - 66 კგ.)...

გოგონებში ქართველთა მონაგარი 2 ვერცხლის მედალია - კვარცხლბეკზე ასვლა ნინო ლომიძემ (52 კგ.)...

ვაჟან დოლიძე

ლეგიონარი

ბითამის 15 ქულა

ბომა ბითამის „ბუდუნოსტმა“ ადრიატიკის ლიგის მე-20 ტურში სორვატულ „ზადარს“ 75:69 სძლია და სატურნირო...



ცხრილში მე-2 ადგილი დაიბრუნა.

19 წლის ქართველმა ცენტრმა მოედანზე 24 წუთი გაატარა და პოდგორიცელებს 15 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა შესძინა.

გოგამ 5-დან 4 ორქულიანი და 10-დან 7 საჯარიმო ჩაადგო, სამქულიანი ააცილა, ბურთი 3-ჯერ დაკარგა, ამდენივე პერსონალური ფოლი მიიღო...

„ბუდუნოსტმა“ 14 მოგება და 6 მარცხი მოაგროვა და რეგულარულ სეზონში 2 მატჩილი დარჩა ჩასატარებელი: 11 მარტს, სერბეთში, ბითამის ყოფილ კლუბ „მეგა ბეჩაქსთან“ და 17 მარტს, შინ, სორვატულ „ციბონასთან“.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

ლეგიონარი იტალიელი ფეხბურთელი ანდრეა პირლო, შესაძლოა, ტურინის „იუვენტუსში“ დაბრუნდეს.



Corriere della Sera-ს ინფორმაციით, მას „იუვენს“ 23-წლამდელითა გუნდის მთავარ მწვრთნელად ინვესტავს, რომელიც იტალიის სერია C-ში მე-12 ადგილზეა და ამის გამო ამჟამინდელი თავკაცის მალტო მინიწინების გადათქვამისას გეგმავს, მის შემცვლელად კი სწორედ პირლო სახელდება.

ანდრეას შესაბამისი სამწვრთნლო ლიცენზია უკვე გააჩნია და, წყაროს ცნობით, თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია. შემბახსნივთ, რომ პირლომ კარიერა 2017 წელს დაასრულა, „იუვენტუსში“ კი 2011-2015 წლებში თამაშობდა. იტალიელი ბოლოს Sky Sport-ზე საფეხბურთო ექსპერტად მუშაობდა.

მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველ ისკო ალარკონის გადაბრუნება ინგლისურ გრანდებს „მანჩესტერსა“ და „ლივერპულს“ სურთ.

„ლივერპული“ ბოლო დროს ველარაა ისეთი ფერიული და კარგი სანახავი, როგორც გასულ და მიმდინარე სეზონში ვერ ხვდება და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ზაფხულში „სამეფო კლუბს“ დატოვებს.

ნარე სეზონის პირველ ნახევარში. იურგენ კლოპის გუნდს სერიოზული ეპრობები და გერმანელი ამას ხან უამინდობას აბრუნებს, ხანაც - გაუთავალისწინებელ ტრავმიანობას.

მაგრამ ყველამ და მათ შორის კლოპმაც ხომ კარგად იცის, რომ ეს ჭეშმარიტება არაა. მაშინ, რა არის რეალური მიზეზი იმისა, რომ „ლივერპულმა“ 10-ქულიანი ჰანდიკაპი განაჩინა და „სიტის“ უკვე ჩამორჩება? ერთ-ერთია მოჰამედ სალაჰი! ეგვიპტელი „ლივერპულის“ მთავარ დამრტყმელ ძალად მიიჩნევა და, ბუნებრივია, მის თამაშზე ბევრი რამ პირდაპირაა და მოკიდებული. გასული სეზონი მომოს ბრწყინვალე ჰქონდა და ყველა ტურნირის ჩათვლით 44(!) გოლი გაიტანა (32 - პრემიერლიგაში, 11 - ჩემპიონთა ლიგაში, 1 - ინგლისის თასზე).

თუმცა, ამ სეზონში აფრიკელი ასეთი ეფექტური ველარაა. ამ დროისთვის სალაჰის ანგარიშზე 20 გოლია (17 - პრემიერლიგაში, 3 - ჩემპიონთა ლიგაში) მაშინ, როცა ზუსტად ერთი წლის წინათ, მარტის დასაწყისში 32 გოლი იყო.

შედეგიანობის კლებასთან ერთად სალაჰის პრობლემა „დიდ გუნდებთან“ ცუდი თამაშია. ცნობისთვის, მომომ მიმდინარე სეზონში 16-ჯერ ითამაშა „დიდი გუნდების“ წინააღმდეგ და მხოლოდ 2 ბურთი გაიტანა (16 თამაშში შედის პრემიერლიგის 5 მატჩი „დიდი გუნდებთან“, „ევერტონთან“ დერბი, ჩემპიონთა ლიგაში „ნაპოლისთან“ და „პსჟ“-სთან ორ-ორი დაპირისპირება და „ბაიერნთან“ პირველი შეხვედრა). ის 2 გოლი, რომელიც ვახსენეთ, ეგვიპტელმა „არსენალსა“ და „ნაპოლისს“ გაუტანა.

კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობა აქვს სალაჰს სხენებულ 16 შეხვედრაში საგოლე გადაცემების მხრივ - ოდენ ერთი შედეგიანი პასი! ბუნებრივია, გინდა, არ გინდა, გუნდის ლიდერის ასეთი თამაში „ლივერპულზე“ აისახება და „ნოთლეს“ ნანატრი ჩემპიონობის მოპოვება თუ უნდათ, სეზონის ფინიშზე ისეთი სალაჰის დაბრუნება

დასჭირდებათ, გასული სეზონში რომ იყო, რომელმაც თანაგუნდელები ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე მიიყვანა. ვნახოთ, „ლივერპულსა“ და სალაჰს უკვე საგაზაფხულო გამოცდები ეწყებათ...

იტალიური „ტორინო“ გასული საუკუნის შუაში ევროპის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი იყო, მაგრამ ის დრო წარსულში დარჩა. უკვე წლებია, „ხარებისთვის“ დაუკეთეს შედეგი სერია A-ს სატურნირო ცხრილის შუაში მოქცევა.



თუმცა, მიმდინარე სეზონში ტურინული გუნდი ჩინებულად თამაშობს, 41 ქულით მეტი ადგილზე და შანსი აქვს ევროპა ლიგის ზონაში მოხვედეს. რაც მთავარია, ვალტერ მატარის შეგირდები იშვიათად აგებენ - 26 ტურში ოდენ 5 ნაგება. ამაზე უკეთესი შედეგი მხოლოდ „იუვენტუსს“ (0), „ნაპოლისს“ და „მილანს“ (4-4) აქვთ, თანაც, ტურინელები სტუმრად თითქმის არ აგებენ. მიმდინარე სეზონში „ტორინო“ გასულზე ერთადერთხელ („რომასთან“ 2:3) დამარცხდა.

ეს 2019 წლის 19 იანვარს მოხდა და იმ მატჩის შემდეგ „ტორინოს“ გოლიც არ გაუშვია, სალვატორე სირიგუ კი გუნდის ისტორიაში შევიდა - მანამდე 557-წუთიანი მშრალი სერია „ხარების“ არცერთ მეკარეს არ ჰქონია. გამოცდილი კიპერის კარი ბოლოს სტეფან ელშაარავიმ იანვარში დალაშქრა. მას შემდეგ სირიგუმ „ინტერთან“, „სპალთან“, „უდინეზესთან“, „ნაპოლისთან“, „ათლანტასთან“ და „კვივოსთან“ მოახერხა კარის მშრალად შენახვა. ცნობისთვის, სალვატორემ „ტორინოს“ რეკორდი კი დაამყარა, მაგრამ ზოგადად სერია A-ს მიღწევამდე ძალიან შორსაა - იტალიის ელიტურ ლიგაში 2015-2016 წლების სეზონში ჯანლუიჯი ბუფონმა საკუთარი კარი ხელუხლებლად ზედიზედ 974 წუთის განმავლობაში შეინახა და ესაა რეკორდი.

გიორგი შოთაძე

სულთანა

ჯემალ მონიავა



საქართველოს მეცნიერებას, სამედიცინო და ფარმაცევტულ საზოგადოებას გამოაკლდა შე-

სანიშნავი პიროვნება, პროფესორი **ჯემალ მონიავა**. დაიბადა 1938 წლის 20 ივნისს ხონის რაიონის სოფელ ხიდში.

1945-1953 წლებში სწავლობდა ხონის რაიონის სოფელ ხიდის 8-წლიან სკოლაში, 1954 წელს სწავლა განაგრძო თბილისის მე-3 საშუალო სკოლაში, რომლის სრული კურსიც დაამთავრა 1957 წელს ვერცხლის მედალზე.

1958-1963 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც როგორც წარმატებულმა სტუდენტმა წითელ დიპლომზე დაამთავრა. 1964-1967 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1975 წელს დაიცვა დისერტაცია ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1967 წლიდან 1976 წლამდე ჯემალ მონიავა ეწევა სამეცნიერო საქმიანობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში. 1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ჯემალ მონიავა მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტში, სადაც განვლო საინტერესო გზა სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობისა ასისტენტიდან პროფესორობამდე. 10 წლის განმავლობაში - 1990 წლიდან 2000 წლამდე ხელმძღვანელობდა აღნიშნულ დეპარტამენტს (იმუამინდელ წამალთა ტექნოლოგიის კათედრას). იყო ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, 2010 წლიდან კი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორია.

ჯემალ მონიავას სამეცნიერო მოღვაწეობა პროდუქტიული იყო. მის კალამს ეკუთვნის 137 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 63 გამოგონება და პატენტი. სამეცნიერო ნაშრომების უმრავლესობა ეხება ბუნებრივი ნაერთების მიღებას, ინდივიდუალურ კომპონენტებად დაყოფას, იდენტიფიკაციას, აგრეთვე სამკურნალო და პროფილაქტიკური წამლის ფორმების, ახალი მაღალეფექტური პროფილაქტიკური ბუნებრივი საკვები პროდუქტების ტექნოლოგიების დამუშავებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯემალ მონიავას მიერ დაპატენტებული ბეტა-კაროტინის შემცველი ზეთის წარმოების ტექნოლოგია „ხავერდას ზეთის“ სახელწოდებით, რომელიც ქაჯვის ზეთის ანალოგიურია. მან საინტერესოდ გადანყვიტა ჰიპოალერგიული რძის მიღების ტექნოლოგია. ჯემალ მონიავას მიერ დამუშავებულია რძის გადამუშავების მარტივი ტექნოლოგია, რომლის შედეგადაც რძის ალერგიულობა იმდენად მცირდება, რომ იგი პრაქტიკულად უვნებელი ხდება ყველასთვის.

ჯემალ მონიავას მიერ დამუშავებულია ორიგინალური ტექნოლოგიები, რომლებიც განხორციელებით მიიღება იოდირებული, ვიტამინიზირებული და პექტინებით გამდიდრებული ჩაი. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩაის სიროფი - პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი საშუალება. ჩაის სიროფი ხასიათდება პროფილაქტიკური თვისებებით, კერძოდ: ენდემური ჩიყვის პროფილაქტიკის, ცენტრალური ნერვული სისტემის მოწესრიგების, იმუნური სისტემის გაძლიერების უნარით, აგრეთვე რადიაციული დასხივებებისგან და ათეროსკლეროზისგან ორგანიზმის დაცვის თვისებებით და სხვა.

მისი ავტორობით შემუშავებულია ერთჯერადი ჩაი დიაბეტიანებისთვის.

ჯემალ მონიავა როგორც მეცნიერი, პედაგოგი და პიროვნება ქართული ფარმაცევტული საზოგადოების ერთ-ერთი საპიონირო გარდაცემული და მოქალაქეობრივი თვისებების მატარებელი იყო. ის გახლდათ ყველა კოლეგის მიმართ მეგობრული, გულსხმიანი და გულშემატიკვარი.

განსაკუთრებული სიბოძოს, სიყვარულის მატარებელი და სიხარულის განმცდიელი იყო ჯემალ მონიავა, როგორც მეუღლე, მამა და ბაბუა.

ჯემალ მონიავას გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული ფარმაცევტული საზოგადოებისთვის. მისი ნათელი ხსოვნა ყოველთვის დარჩება აღზრდილებისა და მეგობრების გულში.

ქართველი ფარმაცევტები, მოსწავლეები და კოლეგები გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას პროფესორ ჯემალ მონიავას გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი;

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია.

21 წლის ქართველმა გოგონამ იწვევს საზოგადოებას უმჯობესობის შექმნას

21 წლის ქართველი გოგონა სალომე ნიჭიძე იმ ინიციატივით ქართული სამაგიდო თამაშის შექმნელი, რომელმაც დიდი გამოხმაურება პოვა მედია-სივრცესა და საზოგადოებაში. „ჩუ“ არის უესტური ენის პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი სოციალური საწარმო, რომელიც სამაგიდო თამაშების მეშვეობით ცდილობს საზოგადოებაში თანაბარი შესაძლებლობების გაჩენას.

„ჩუს“ პროდუქციის თამაშის პროცესში მოთამაშეები სწავლობენ სიტყვებს უესტურ ენაზე, რაც ხელს უწყობს სოციალიზაციის პროცესს. სოციალური საწარმოს მისიაა სმენის შეზღუდვის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა უესტური ენის პოპულარიზაციის გზით.

„ჩუ“ არის ქართული სამაგიდო თამაში, თუმცა მისი თამაში არა მხოლოდ მაგიდასთან, არამედ ყველგან: ბუნებაში, სახლში, პიკნიკზე, მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან ნე-

ბისმიერი ასაკისა და შესაძლებლობების მქონე პირებთან შეიძლება. „ჩუ“ აგებულია ყველა ასაკის საყვარელი ძველი თამაშების პრინციპებით, ხელს უწყობს უესტური ენის მარტივად და სახალისოდ შესწავლას, ასევე მეხსიერების განვითარებას.



შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქვეყნის უსუსურობის შესახებ განაცხადა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ქურდობის მცდელობის ბრალდებით, არასრულწლოვანები: 2002 წელს დაბადებული, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ნ.ბ. დააკავეს, ხოლო 2003 წელს დაბადებული კ. ო. ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე მდებარე ზოომალაზიის გაქურდვა სცადეს. პოლიციამ მათი ქმედება შემთხვევის ადგილზევე აღკვეთა. გამოძიება ქურდობის მცდელობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 19-177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. ასევე, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა ქურდობის ფაქტზე გამოავლინეს 1971 წელს დაბადებული ი.დ., რომელმაც თბილისში, ბრონეულის ქუჩაზე, საკანალიზაციო ჭის 2 თავსახური მოიპარა.

უსს საქართველოს რეპორტაჟში „ჭკვიანი“ კამერების მონტაჟს განაგრძობს

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საქართველოს რეგიონებში სიჩქარის მზომი „ჭკვიანი“ კამერების მონტაჟს განაგრძობს. მიმდინარე წლის 5 მარტიდან ქალაქ გორში 4 ლოკაციაზე ჩართო სიჩქარის მზომი 7 სექციური რადარი.

კერძოდ: ცხინვალის გზატკეცილის №4-დან ცხინვალის გზატკეცილისა და პ. მელიქიშვილის ქუჩის კვეთამდე, ორმხრივად (ნე-

ბადართული სიჩქარეა 50 კმ/სთ); 2. ცხინვალის გზატკეცილისა და პ.მელიქიშვილის ქუჩის კვეთიდან ცხინვალის გზატკეცილის №4-მდე, ორმხრივად (ნებადართული სიჩქარეა 50 კმ/სთ); დ. აღმაშენებლის გამზირისა და ი.სუხიშვილის ქუჩის კვეთიდან დ.აღმაშენებლის გამზირისა და ი.ჭავჭავაძის ქუჩის კვეთამდე, ცალმხრივად (ნებადართული სიჩქარეა 50 კმ/სთ); 4. დ. აღმაშენებლის გამზირისა და ი. ჭავჭავაძის ქუჩის კვეთიდან დ. აღმაშენებლის გამზირისა და ი.სუხიშვილის ქუჩის კვეთამდე, ცალმხრივად (ნებადართული სიჩქარეა 50 კმ/სთ). შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით აგრძელებს „ჭკვიანი“ ვიდეოკამერებისა და სიჩქარის მზომი რადარების დამონტაჟებას.

ზუბდიდში ეპროკავშირის მისიის თანამშრომელი ბაქრდუს

ზუბდიდში, ვახტანგ მეფის ქუჩაზე, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ზუბდიდის ოფისის თანამშრომელი გაქურდეს. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ინფორმაციით, უცხოელი დამკვირვებლის ავტომობილიდან აკუმულატორი მოიპარეს. წაღებულია ასევე ტრანსპორტის მფლობელის პირადი ნივთები.

მანქანაში ჩაკეტილი 2 წლის ნინა გაშვებულია უვნებლად გამოიყვანეს!

თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, ავტომანქანაში ჩაკეტილი 2 წლის ნინა მესანძრე-მშველემმა უვნებლად გამოიყვანეს - ინფორმაციას ამის შესახებ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

სსიპ - ფარდინაელ თავაძის მებაღეობისა და მასალათმშობლოების ინსტიტუტი ასხადებს კონკურსს შიდა თანამშრომლების დასაქმებლად

- 1. ტექნიკოსი - 1 ერთეული (არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის დაბორატორიაში).
- 2. ბუღალტერი (II კატეგორია) - 1 ერთეული (დასაქმების ხანგრძლივობა 01.07.2019 -მდე, დეკრეტულ შევებლებაში მყოფი თანამშრომლის ადგილზე).

- 3. ავტობიოგრაფია /CV
 - 4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფარდინაელ თავაძის მებაღეობისა და მასალათმშობლოების ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი № 315 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2019 წლის 18 მარტიდან 22 მარტის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების უსუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით. დამატებითი ინფორმაციისათვის (სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები) ეწვიეთ www.mmi.ge, ან დაარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

- 1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge))
- 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ვან გოგი ნიკალას მასპინძლობს

ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების გამოფენა საფრანგეთში, ქალაქ არლში, ვინსენტ ვან გოგის ფონდში ოფიციალურად გაიხსნა. გამოფენის გახსნას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ გიორგაძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, არლში ვინსენტ ვან გოგის ფონდის სამხატვრო ხელმძღვანელი ბიჩე ქურიგა, InfinitArt Foundation-ის დამფუძნებელი ადრიან ბარსანი, არლსის მერი ერვე სქიავეთი და არლში ვინსენტ ვანგოგის ფონდის პრეზიდენტი მაია ჰოფმანი ესწრებოდნენ.

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი მხატვრისა და ვინსენტ ვან გოგის ნამუშევრები ერთ სივრცეშია გამოფენილი. სამინისტროს მხარდაჭერით წარმოდგენილი გამოფენის დათვალეობა ვინსენტ ვან გოგის მუზეუმში 1 ივნისის ჩათვლით იქნება შესაძლებელი.



დამთვალეობები იხილავს ნიკო ფიროსმანაშვილის 29 ნამუშევარს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან მათ შორის: „არსენალის მთას“, „ჟირაფა“, „რთველს“ და ვინსენტ ვან გოგის 5 ნამუშევარს, რომლებიც 1884-1889 წლებში შეიქმნა. მათ შორისაა შედეგები, როგორებიცაა „არლელი ქალბატონი“, „ხის მჭრელი“, „ფესხაცმელები“, „მთესავი ჩამავალი მზის ფონზე“. გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იქნება პარიზის ზდანევიჩის ფონდში დაცული ილია ზდანევიჩის ხელნაკეთი ნიგნი, სახელწოდებით „ფიროსმანაშვილი 1914“. ნიგნში შესულია პაბლო პიკასოს მიერ შესრულებული გრაფიურა „ფიროსმანის პორტრეტი“. გამოფენის ფარგლებში, დამთვალეობები იხილავს რუჟისორ გიორგი შენგელიას მიერ ნიკო ფიროსმანზე 1969 წელს გადაღებული ფილმი „ფიროსმანი“.

გამოფენა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, „Infinitart Foundation | ienna“ და არლში ვინსენტ ვან გოგის ფონდის ინიციატივით ხორციელდება და მის ფარგლებში თანამედროვე ხელოვნების სივრცე ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებით შთაგონებულ თანამედროვე არტისტთა ნამუშევრებსაც დაეთმობა. დამთვალეობები იხილავს ცნობილი იაპონელი არქიტექტორის ტადაო ანდოს მიერ სპეციალურად შექმნილ მაგიდას სახელწოდებით „Table Of Pirosmani“, რომელიც იაპონელმა არტისტმა ფიროსმანაშვილის ხსოვნას მიუძღვნა, აგრეთვე, ჯორჯ ბაზელიცის, იოში მოტონარას, ანდრო ვეკუას, შირანა შაბაზის, კრისტინა ფორერის, ადრიან გენისა და რაფაელა ვოგელის ნამუშევრებს. მანამდე გამოფენა „NIKO PIROSMANI - A Wanderer Between Worlds“ ვენაში, ალბერტინას მუზეუმში, სამი თვით იყო წარმოდგენილი და ის 400 ათასამდე ვიზიტორმა იხილა.

დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!
მომხმარებელთა გახართ მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.
 ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009.
 (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).



მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი ჯეფ ბეზოსი

შურნალმა Forbes-მა მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანად კომპანია Amazon-ის დამფუძნებელი ჯეფ ბეზოსი დაასახელა. მის ქონებას ერთი წლის განმავლობაში კიდევ 19 მლრდ დოლარი შეემატა და 131 მლრდ დოლარი შეადგინა.

ამასთან, გამოცემა აღნიშნავს, რომ მომავალ წელს ბეზოსმა რეიტინგში შესაძლოა პირველი ადგილი მეუღლესთან მაკენზისთან განქორწინების გამო დაკარგოს. მანამდე გაზეთი The Wall Street Journal-ი წერდა, რომ Amazon-ი, რომელიც ბეზოსმა 1994 წელს დააარსა, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კომპანიების სათავეში მოექცა.



კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციამ 796 მლრდ დოლარზე მეტი შეადგინა. მეორე ადგილი დაიკავა Microsoft-მა 789 მლრდ დოლარით. მესამე ადგილი კი წილად ხვდა, 745 მლრდ დოლარით ჰოლდინგ Alphabet-ს, რომლის შემადგენლობაშიც შედის Google. Amazon-ი მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ინტერნეტ-კომპანია. მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქალი კოსმეტიკური იმპერიის L'Oreal-ის მემკვიდრე ფრანსუაზა ბეტანკურ-მაიერსი გახდა, მისი ქონება 49,3 მლრდ დოლარს შეადგენს. პლანეტის უმდიდრესი ადამიანების საერთო რეიტინგში მაიერსი მე-15 ადგილს იკავებს.

ბოლო ათი წლის განმავლობაში მილიარდერების რაოდენობა ფაქტობრივად გაორმაგდა. 2018 წელს მათი რაოდენობა 2208-ს შეადგენდა. ამასთან პლანეტის უმდიდრესი ადამიანების ქონება ყოველდღე 2,5 მლრდ დოლარით იზრდება.

სიცოცხლეს სქესი და სიხილი ახანგრძლივებს

შენიშნის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ექიმებმა სიცოცხლის გახანგრძლივების 30-მდე საშუალება ჩამოაყალიბეს. რეიტინგში პირველი ადგილი სექსმა დაიკავა. როგორც ირკვევა, აქტიური სქესობრივი ცხოვრება სისხლში ქოლესტერინის დონეს არეგულირებს, გარდა ამისა სქესის დროს ორგანიზმში ბუნებრივი ჰორმონი ენდორფინი გამოიყოფა.

განსაკუთრებით სასარგებლო სექსი დილით ყოფილა, რადგან ამ დროს სისხლში შაქრის დონე დაბალია და სქესობრივი აქტის დროს ყველა დაგროვილი კალორია გადაიშვება. რეიტინგში ასევე მოხვდნენ: სიცილი, პირის ღრუს მოვლა, 7-საათიანი ძილი, პურის ქერქი (იგი მ-ჯერ მეტ სიმისინის საწინააღმდეგო ანტიოქსიდანტ პრონილიზინს შეიცავს, ვიდრე მთლიანად პური), პომიდორი, ნიორი, თხილი, შოკოლადი, შავი ან მწვანე ჩაი, წიგნის კითხვა, ბუნებაში სეირნობა, სისხლის გაცემა (დონორ მამაკაცებს იშვიათად ემართებათ ინფარქტი), კლასიკური მუსიკის მოსმენა, სალსა (სალსას ცეკვის დროს საათში 420 კალორია იწვის), დაოჯახება, ოჯახის წევრებთან სიახლოვე, სახლის დალაგება, საზოგადოებრივი აზრის უგულვებელყოფა, რელიგიური რწმენა, ახალი ხელობის ან რაიმე ინსტრუმენტზე დაკვირვების შესწავლა, შინაური ცხოველის მოვლა და ა.შ.



დროს საათში 420 კალორია იწვის), დაოჯახება, ოჯახის წევრებთან სიახლოვე, სახლის დალაგება, საზოგადოებრივი აზრის უგულვებელყოფა, რელიგიური რწმენა, ახალი ხელობის ან რაიმე ინსტრუმენტზე დაკვირვების შესწავლა, შინაური ცხოველის მოვლა და ა.შ.

ღლისით ნახევარ საათს თუ ნაუქინებთ...

უძილობა რომ საშინელებაა, ყველამ კარგად ვიცით. მეცნიერებმა კი დაადგინეს, რომ ადამიანთა მხოლოდ 3 პროცენტს შეუძლია თავი მხნედ იგრძნოს მაშინ, როცა დღე-ღამეში 6 საათზე ნაკლები სძინავთ.

ისე კი, კაცმა თავი კარგად რომ იგრძნოს, მას დღე-ღამეში 7-8 საათი უნდა ეძინოს. ძილის დროს ადამიანს ორი ძირითადი ფაზა ენაცვლება – ნელი და სწრაფი, თანაც თავდაპირველად ჭარბობს ნელი ფაზა, გაღვიძების წინ მატულობს სწრაფი ძილის ხანგრძლივობა. უძილობა დედამიწაზე ყოველ მესამე კაცს სჭირს, ნორმალურად კი მოსახლეობის მხოლოდ 40 პროცენტს სძინავს. ნანახი სიზმრებიდან ადამიანი მხოლოდ 10 პროცენტს იმახსოვრებს. თამბაქოს არამწველები მწველებთან შედარებით უფრო ხასხასა სიზმრებს ხედავენ. მუცლად ყოფნის დროს ჩვილს სიზმრების ნახვა განვითარების 25-ე კვირას შეუძლია. თუკი კაცი კვირაში სამჯერ მაინც ახერხებს ღლისით ნახევარ საათით დაძინებას, გულის შეტევისგან სიკვდილის რისკი მას 37 პროცენტით უმცირდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 299-02-10
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
 599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემელი:
 შპს „თანადგომა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იხეჭდება გამომცემლობა „**ქოლორ პრესში**“
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
 ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაქობა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთია, აუხილავლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

	უხსოვრი პალატის კარსი: აუზ ფორსი - 2.6706; პირი - 3.0274; ბრიტანული მიკროსტრუქტურა - 3.5332 100 რუბლი - 4.0596; თურქული ლირა - 0.4989; ანკარაპირაპირული მანათი - 1.5708; 1000 სომხური დრამი - 5.4502.	აქტიური 6 მარტისთვის აქტიურობის საჩუქრები: ბარა - ლაპი 0, ლაპი +18 მთიანი რაიონები - ლაპი -7, ლაპი +13 დასასრული საჩუქრები: ბარა - ლაპი +3, ლაპი +20 მთიანი რაიონები - ლაპი -6, ლაპი +14 თბილისი: ლაპი 0, ლაპი +17	დაავიკავით, მოგვწერეთ: ტელ: 299-02-10, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
--	---	--	---